შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"
LLC "COMPANY BLACK SEA GROUP"

თარიღი:16.05.2023

BSG-OUT-MNG-COR-0272

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ

გაცნობებთ, რომ შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი" გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. სააკაძის ტერიტორიაზე, როგორც კომპანიის ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ლიცენზირებულ მიწის ნაკვეთებზე გეგმავს საწარმოო ობიექტის მოწყობას, რომელიც მოიცავს ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების, ნავთობპროდუქტების საცავის და ნარჩენების აღდგენის საწარმოო ხაზებს შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ზემოაღნიშნული საქმიანობები, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს, მე-II დანართის, მე-5 პუნქტის 5.1 და 5.3 ქვეპუნქტების, ამავე დანართის მე-6 პუნქტის, 6.3 ქვეპუნქტის, ასევე, მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას. ამასთან, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სააგენტოს სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება.

აქედან გამომდინარე, განსახილველად და შესაბამისი სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით წარმოგიდგენთ ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების, ნავთობპროდუქტების საცავის და ნარჩენების აღდგენის საწარმოო ობიექტის მოწყობის და ექსპლოატაციის მიზნით მომზადებულ სკოპინგის ანგარიშს.

დანართი - სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია

SHP ფაილები

პატივისცემით,

ამირან მამუჭაძე
დირექტორი
შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი"

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„21" 06 2023 წ.
№ 5751

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71; ტელ.: +995 322 207 474/75 ფაქსი: +995 322 207420
71 Vazha-Pshavela Ave., 0186 Tbilisi, Georgia; Tel,: +995 322 207 474/75 Fax: +995 322 207420
info@bsg.com.ge; www.bsg.com.ge